ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1608627

ნომერი: AR1264066

თარიღი : 07.11.2014

გაცემის თარიღი : 25.11.2014

გაცნობის თარიღი : 26.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აბასთუმანი , N 6-8 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაბაძე , N 19 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ასლანიკაშვილი პ/ნ 01025004686
- თბილისი დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 4 ბ. 59

ორგანიზაცია:

- შპს "ბიზნესი" კოდი: 201943040

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.12.2009 წ. #1158 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 07.11.2014 წ. #AR1264066 განცხადებით მომართა მოქ. ირაკლი ასლანიკაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 02.12.2009 წ. #1158 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 02.12.2009 წ. ქ. თბილისში, ცაბაძის ქუჩა #19/აბასთუმნის ქუჩა #6-8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით: #01.13.07.022.018, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობის (სავაჭრო სახლი) ასაშენებლად დამტკიცდა #1158 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. ამავე სამსახურის 21.08.2014 წ. #1441620 ბრძანებით აღნიშნულ ქალაქთმშენებლობით პირობებში განხორციელდა შესაბამისი ცვლილება. განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.13.07.022.092, ფართობი: – 438 კვ.მ), რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულს შეცვლილი აქვს მიწის ნაკვეთის ფართობი, საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.12.2009 წ. #1158 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.13.07.022.092, ფართობი – 438 კვ.მ);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.12.2009 წ. #1158 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს - 438 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს - #01.13.07.022.092;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.12.2009 წ. #1158 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან და ამავე სამსახურის 21.08.2012 წ. #1441620 ბრძანებასთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.